ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 21 (1459) 14-17 ივნისი, 1996 წელი

ერის ბედ ქვეშა ვარ, ჯაბავ, მე და შენ, ბინად გვარგუნეს ორთაჭალა ჩვენ . . .

თენგიზ კიტოვანი:

წელიწადნახევარია, 238-ე მუხლით რომ ვზივარ და არ იციან რა ჰქნან. ამ მუხლს მე ვიცი, ვისაც შევტენი მერე...

მე-4 გვ.

თენგიზ სიგუა:

ვისი ჩუმი თანხმობით მოხდა სამეგრელოს დარბევა-აწიოკება? ვისი თანხმობით დაინიშნა «კახეთის დედოფლად» ვინმე მადლენა?

მე-2-3 გვ.

თემურ ქორქოლიანი:

ზვიადისტები მტრის ხატად უკვე გაიცვითნენ და ახლა ახალი ნაკადი დასჭირდათ...

მე-8 გვ.

შავი თარიღი

გორის ტრაგედია

მეხუთე გვერდი

ვინ იყო ვინ ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

17 მაისი შეკითხვა და თენგიზ სიგუას პასუხები

გაგრძელება დასაწყისი იხ. გაზ. „საქართველო“ №16-17-18-19-20



«ზვიადისტის» შეკითხვა:

— მოგეხსენებათ, ყოველგვარი ომი, მათ შორის სამხედრო გადატრიალებაც, ორგვარი შედეგით მთავრდება — ან გამარჯვებით, ან დამარცხებით. თქვენ და კიტოვანმა 1991 წლის 22 დეკემბრის ავანტიურა, როგორც ცნობილია, სასაცილო ძალებით წამოიწყეთ. ასი და გნებავთ ორასი კაცის იმედად ხალხის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისას 100 %-იანი გამარჯვების რწმენა, თვით ისეთ საკვირველ ოპტიმისტსაც კი არ უნდა ჰქონოდა, როგორიც კიტოვანია... (ცხადია, თუ მართალია თქვენი ვერსია, რომ მოსკოვს არ ეყრდნობოდით)...

გეკითხებით, გათვლილი გქონდათ თუ არა ბრძოლის დაწყებისას ის, რომ შეიძლებოდა დამარცხებულიყავით?

ჩვენი ინფორმაციით, თქვენ წინასწარ გქონდათ ვიზები გამზადებული საზღვარგარეთ გასაქცევად.

აქ დარჩებოდა დახოცილი ახალგაზრდობა, დანგრეული თბილისი, თქვენ კი გადაფრინდებოდით „თბილ“ ქვეყნებში.

რას გვეტყვით ამ შეკითხვა— ბრალდებაზე?

«შევარდნაისტის» შეკითხვა:

— თქვენთვის, ისე როგორც საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის, კარგად ცნობილია, რომ მშვიდობიან მოსახლეობას გვარდიისა, „მხედრიონისა“ და სხვა ათასგვარი შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლები აღა-მაჰმად-ხანის მოლაშქრეებივით აწიოკებდნენ. ამ თარეშს მხოლოდ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დაუსვა წერტილი. ნიშნავს თუ არა თუნდაც ეს ფაქტი იმას, რომ თქვენს მიერ ყველა უბედურების სათავედ წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტი სინამდვილეში ის მმართველია, რომელსაც არსებულ ვითარებაში ერთადერთს შეეძლო ბანდიტებისაგან ქვეყნის ხსნა.

თუ არა პირადი ამბიციები, ნუთუ არ სჯობდა უსაფუძვლო კრიტიკის ნაცვლად თქვენ მას გვერდში ამოსდგომოდით, თუ წესრიგის დამყარება საქართველოში თქვენ თქვენი და მყვირალა პარტიების დამსახურება გგონიათ?

«აპრავისტის» შეკითხვა:

— ბატონო თენგიზ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი დიდი ეტაპი დასრულდა. დასრულდა საქართველოს ნაწილობრივი გამარჯვებით (ქვეყანა იურიდიულად დამოუკიდებელია), მაგრამ თვით ამ მოძრაობის სრული დამარცხებით, რამეთუ სწორედ იარაღის გამოყენებით, სწორედ ამ მოძრაობის ორი ფრთა დაუპირისპირდა ერთმანეთს და გამართლდა სენტენცია: ძმათა ომში გამარჯვებული არ არსებობს. დღეს ორივე მხარე იმკის საკუთარი შეცდომების შედეგს.ქვეყნის სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთიდან წამოსული წითელი საფრთხის გათვალისწინებით, რა მიგაჩნიათ იმ აუცილებელ ღონისძიებათა ჩამონათვალად, რითაც ურთიერთბრალდებებში კი არა, საერთო მტრის წინააღმდეგ გავიმარჯვებთ, ყოველ შემთხვევაში, საქართველო ახალ უბედურებათა ასპარეზად არ იქცევა და დაკარგულ ტერიტორიებსაც

(1)

— 1991 წლის 22 დეკემბერის ავანტიურა, როგორც ამას მკითხველების ნაწილი თვლის, წამოიწყო არა ოპოზიციამ და ეროვნულმა გვარდიამ, არამედ ხელისუფლებამ. ამის თაობაზე არსებობს უამრავი დოკუმენტალური მასალა (მოწმეთა ჩვენებები, ვიდეოფირები და ა.შ.). შეგახსენებთ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც ხელისუფლებამ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა მომიტინგეების წინააღმდეგ: 1991 წლის 2 სექტემბერს რუსთაველის მოედანზე, 22 სექტემბერს რუსთაველის პროსპექტზე, 4 ოქტომბერს დილით შეიარაღებული თავდასხმა თბილისის ზღვაზე განლაგებულ ეროვნულ გვარდიაზე, იმავე დღეს, ღამით, ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს სამხატვრო გალერეასთან და სასტუმრო „თბილისთან“ შეკრებილ მომიტინგეებს. თ. კიტოვანმა, გვარდიის სახელით, არაერთხელ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ გვარდია დადგებოდა იმათ მხარეს, ვის წინააღმდეგაც პირველად იქნებოდა გამოყენებული იარაღი (განცხადება ოფიციალურ პრესაში იყო გამოქვეყნებული და გადაიცა ტელევიზიითაც).

გეთანხმებით, მართლაც სასაცილო და დაუჯერებელია, რომ ორასმა გვარდიელმა დაიწყო ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. თბილისელთა უდიდესი ნაწილი ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ იყო განწყობილი, რასაც თავადაც გრძნობდა. შეგახსენებთ მის გამონათქვამს: “საქართველო მარტო თბილისი არ არისო“, ან მის გაუთავებელ მოწოდებებს ტელევიზიითა და რადიოთი რაიონების მცხოვრებლებისადმი: „ჩამოდით და დაიცავით თქვენი პრეზიდენტიო“. სწორედ თბილისელ მოქალაქეთაგან სტიქიურად იქმნებოდა ბრიგადები და რაზმები (“ორბი“, “ავაზა“, “ვერა“, “იმედი“ და ა.შ.), რომელთაც გადაკეტეს თბილისში შემოსასვლელი ყველა გზა და აკონტროლებდნენ ქალაქის ცენტრში მისასვლელ გზებს. ისიც ფაქტია, რომ პრეზიდენტს ფაქტიურად განუდგნენ შინაგან საქმეთა სამინისტროც და უშიშროებაც.

• არავითარი გათვლები სამხედრო დაპირისპირებისა არ გაკეთებულა და ამიტომ 100%-იან გამარჯვების რწმენაზე საუბარი არასერიოზულია. ვიმეორებ, პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი იძლეოდა იმის პროგნოზირების საშუალებას, რომ 1992 წლის მარტში ან აპრილში ზ.გამსახურდია იძულებული გახდებოდა წასულიყო დათმობებზე და ოპოზიციის მოთხოვნათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეესრულებინა.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ხომ არ ვეყრდნობოდით მოსკოვს, მოდით ვიმსჯელოთ ფაქტებითა და ლოგიკით: ასეთ შემთხვევაში ახალი ხე-

გაგრძელება მე-3 გვ.

თენგიზ სიგუა:

ვისი ჩუმი თანხმობით მოხდა სამეგრელოს დარბევა - აწიოკება? ვისი თანხმობით დაინიშნა «კახეთის დედოფლად» ვინმე მადლენა?

მეორე გვერდიდან

მური) მოსკოვის ნება-სურვილის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო. ფაქტები კი საპირისპიროზე მეტყველებს:

1. რუსეთი 56-ე სახელმწიფოა, რომელიც სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას;

2. ჩვენი მოთხოვნით რუსეთი იწყებს თავისი საჯარისო კონტიგენტის მკვეთრ შემცირებას საქართველოს ტერიტორიაზე (წელიწადნახევრის განმავლობაში შემცირდა თითქმის 6-ჯერ და დაყვანილ იქნა 12 ათას კაცამდე).

3. ჩვენგან მკვეთრად უარყოფითი პოზიცია საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის მიმართ.

4. 1992 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №984, რომელსაც მე ვაწერ ხელს: „ყოფილ საკავშირო სამხედრო უწყებათა, ჯარებისა და დაწესებულებებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მიწის ფონდიდან გამოყოფილი მიწის ნაკვეთების, მათზე განლაგებული სამხედრო დასახლებების, სამხედრო-საზღვაო ბაზების, ძირითადი ფონდების მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის იავდაცვის სამინისტროსთვის გადაცემისა და მოხმარების სფეროს განსაზღვრის შესახებ“, (რომელიც შემდგომ, ჩემი გადადგომის შემდეგ, 1993 წლის 22 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის №929 დადგენილებით გაუქმებულ იქნა).

5. ჩემი, იმჟამად პრემიერ-მინისტრის, განცხადება იმის თაობაზე, (1993წ. ივნისში), რომ თუ რუსეთი გააგრძელებს თავის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ დავაყენოთ დიპლომატიური ურთიერთობის საკითხი.

6. ჩემი გადადგომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ ჩემს ზურგსუკან მიმდინარე ფარული მოლაპარაკებები საქართველოს დსთ-ში „შეთრევის“ თაობაზე.

რაც შეეხება „თქვენს“ ინფორმაციას, დამარცხების შემთხვევაში ჩვენი საზღვარგარეთ გაქცევის თაობაზე, აბსოლუტური სიცრუეა. ვის აღმოაჩნდა გამზადებული ვიზები „თბილ“ ქვეყნებში გასაქცევად (საფრანგეთში, გერმანიაში, ფინეთში, თურქეთში) და არც თუ „თბილ“ ქვეყანაში (რუსეთში), დღეს ყველასათვის ნათელია.

ჩვენ არსად გაქცევას არ ვაპირებდით და დამარცხების შემთხვევაში გველოდა დაპატიმრება ან ფიზიკური განადგურება.

(2)

— პირველ რიგში, მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ გვარდიის „მხედრიონთან“ ან სხვა შეიარაღებულ ფორმირებებთან გათანაბრებისა, მოსახლეობის აწიოკების, ბანდიტობის ან ყაჩაღობის საქმეში. გვარდია დღესაც არსებობს თავისი სრული სტატუსით, როგორც ქართული ეროვნული არმიის ერთ-ერთი ქვედანაყოფი და არც ერთ სამართალდამცავ ორგანოს მისთვის, როგორც სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, არ წაუყენებია ბრალდება რაიმე სამართალდარღვევაში. ამიტომ ასეთი უაპელაციო განცხადების გაკეთება ცილისწამების ტოლფასია. სხვა საკითხია, თუ დანაშაულს ჩადიოდნენ გვარდიის ცალკეული წევრები და ისინი დაისაჯნენ კიდევაც.

რაც შეეხება „მხედრიონს“, ამ ორგანიზაციის ყველა შუქ-ჩრდილის ობიექტურ წარმოჩენას სერიოზული ანალიზი სჭირდება. ამ ანალიზისას მთელი რიგი კითხვები იბადება: ვინ აღაზევა ეს ორგანიზაცია? ვისი ინიციატივით მიეცა მას სახელმწიფო სტრუქტურის — „მაშველთა კორპუსის“ სტატუსი? ვისი დაუინებული მოთხოვნით დაინიშნა თ.ხაჩიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრად? ვინ აცხადებდა მათ ეროვნულ რაინდებად? ვინ მიანიჭა ხუთ „მხედრიონელს“ გენერლის წოდება და ორასზე მეტს ორდენები და მედლები? ვინ მისცა მათ უფლება, კანონების ყოველგვარი დარღვევით, იარაღის ტარებისა? ვინ ეძახდა მათ „საყვარელ შვილებს“? ვინ აპატია მათ 1995 წლის 3 მარტს რუსთავში ჩატარებული შეიარაღებული ოპერაცია: მერიის დარბევა, გუბერნატორისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და პოლიციელის დაჭრა? ვინ იყო საპატიო მხედრიონელი? ვისი ჩუმი თანხმობით მოხდა სამეგრელოს დარბევა-აწიოკება? ვისი თანხმობით დაინიშნა „კახეთის დედოფლად“ ვინმე მადლენა? ყველაფერი ეს ხდებოდა სახელმწიფოს მეთაურის ინიციატივითა და მხარდაჭერით.

დღეს ამ ორგანიზაციას უმძიმესი ბრალდებები აქვს წაყენებული და „მაშველთა კორპუსი“ დაშლილია. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პრესის ზოგიერთი ორგანო ცოდვას სჩადის, როცა ყველა წაყენებულ ბრალდებას დადასტურებულად თვლის; სასამართლოს განაჩენამდე ამის უფლება არავის არა აქვს.

ალბათ, ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო ადამიანი, რომ დაიჯერო, თითქოს, ყველაფერი უცნობი იყო და მხოლოდ 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ გახდა ცნობილი. „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ იმჟამად თავის დასაყრდენ ძალად მიაჩნდათ და მათ „ჯოკერის“ როლი ჰქონდათ მინიჭებული. გუშინდელი რაინდები და ეროვნული გმირები ერთბაშად უმძიმეს დანაშაულობებში მხილებულ და ეჭვმიტანილ პირებად გადაიქცნენ. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

გულმავიწყებს კი მინდა შევახსენო, რომ 1993 წლის 25 მაისის პარლამენტის სხდომაზე სწორედ მე ავიმაღლე ხმა მოსალოდნელი საშიშროების წინააღმდეგ. გაეცანით ამ სხდომის სტენოგრაფიულ ჩანაწერს, ან მაისის ბოლო დღეების პრესას და ყველაფერი ნათელი გახდება. მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვან: სხდომის შემდეგი ინტერვიუ ჯ.იოსელიანთან („მხედრიონი“ გაფიცულია საოპერო თეატრის ბაღში). შეკითხვა: „თქვენი აზრით, რატომ მოხდა ისე, რომ მთავრობამ თ.სიგუას სახით გაგიწიათ წინააღმდეგობა და პარლამენტმა კი ერთგვარად ნეიტრალური პოზიცია დაიკავა“. პასუხი: „სიგუამ თვითონ არ იცის, ვის ეწინააღმდეგება და რას ეწინააღმდეგება“ (გაზეთი „რეზონანსი“, 1993 წლის 28 მაისი, №53). მეორეც, ამავე პარლამენტის სხდომაზე ჯ.იოსელიანმა „გონებამახვილურად“ განაცხადა, რომ თ.სიგუას პრინციპია ბანკი — კრედიტების გაუცემლად და „მხედრიონი“ უიარაღოდ. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რა მოუტანა საქართველოს ბანკის დამღუპველმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ და „მხედრიონის“ უკანონო შეიარაღებამ.

აი, ასეთი მეთოდებით ხდებოდა „ქვეყნის ხსნა“ ბანდიტებისაგან და ყაჩაღებისაგან.

(3)

— სავსებით გეთანხმებით, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი დიდი ეტაპი დასრულდა და, სამწუხაროდ, დამარცხებით. გეთანხმებით იმაშიც, რომ კიდევ ერთხელ დადასტურდა ცნობილი სენტენციის ჭეშმარიტება: ძმათა ომში გამარჯვებული არ არსებობს.

აუცილებელი ღონისძიებებია: 1. ერის გამთლიანება მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფო დოქტრინის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ უნდა ეყრდნობოდეს ასევე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ეროვნულ იდეოლოგიას; 2. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გაეროს მიერ 1992 წელს აღიარებულ საზღვრებში; დღევანდელი ე.წ. „სამშვიდობო“ პოლიტიკა, რომელიც საქართველოს ინტერესების მუდმივი დათმობების გზით ხდება, სასურველ შედეგებს ვერ გამოიღებს. პირველ რიგში საჭიროა ძლიერი დიპლომატიური დემარშების პოლიტიკის გამოყენება (ისე როგორც იქცეოდნენ უკრაინაში ყოფილი პრეზიდენტი ლკრავჩუკი, ლიტვაში — პრეზიდენტი ა.ბრაზაუსკასი, ყაზახეთში — პრეზიდენტი ნ.ნაზარბაევი, მოლდავაში — პრეზიდენტი მ.სნეგური, უკრაინაში — ამჟამინდელი პრეზიდენტი ლ.კუჩმა და სხვები). არ უნდა გამოირიცხოს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც. 3. მკაფიო საგარეო პოლიტიკური დოქტრინის ჩამოყალიბება. დღესდღეობით არსებული საგარეო-პოლიტიკური კურსი საზოგადოებაში მხოლოდ დაბნეულობას იწვევს; 4. ეკონომიკის საბოლოოდ გადაყვანა თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე სოციალური დაცვის ელემენტების პრიორიტეტებით.

ვინ იყო ვინ?

29 საჯარბოროტო შეკითხვა და თენგიზ კიტოვანის პასუხები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ № 19, 20

19.

ომის დასაწყისში რატომ გაჩერდით სოხუმში, რაშიც ბრალი გენერალურმა პროკურორმა თქვენ დაგდოთ?

20.

არმია იღებდა დასახლებულ პუნქტებს და ბრძანების შემდეგ უკან იხევდა. ვისგან მოდიოდა ასეთი ბრძანებები და კონკრეტულ მაგალითს ხომ ვერ გვეტყვით?

21.

რას იტყვით თვითმფრინავების გაყიდვის ბრალდებაზე, რომელიც სამხედრო პროკურორმა პრესითაც დააფიქსირა?

22.

ხომ არ აქვს ციხეში თქვენზე ფიზიკური ზემოქმედების ფაქტებს ადგილი?

23.

რატომ არ გამოდიოდით კაბინეტიდან თქვენი გადადგომის შემდეგ?

24.

თქვენი და ჯ.იოსელიანის ურთიერთობაზე რას გვეტყვით? გამოხატა თუ არა პროტესტი ჯ.იოსელიანმა თქვენი დაპატიმრების გამო? გჯერათ თუ არა, რომ 29 აგვისტოს ტერაქტი ი.გიორგაძისა და ჯ.იოსელიანის დაგეგმილი იყო?

თენგიზ კიტოვანი:

წელიწადნახევარია, 238-ე მუხლით რომ ვზივარ და არ იციან რა ქნან. ამ მუხლს მე ვიცი, ვისაც შევტენი მერე...

19.

— ჩვენ სოხუმში კი არ გავჩერდით, გავჩერდით კელასურში და ვაწარმოებდით მოლაპარაკებას არძინბასთან და მის მთავრობასთან, მაგრამ არძინბა არ ჩამოვიდა მოლაპარაკებაზე. პროკურორმა მე რა ბრალი დამდო, ეს არ ვიცი, მე ის ვიცი, რომ პროკურორი კოჭს უგორებს შევარდნაძეს და ის კოჭი მოტყდება, რადგან პროკურატურამ მშვენივრად იცის ყველაფერი. მაშინ წამომიყენონ ბრალდებები, წელიწადნახევარია 238 მუხლით რომ ვზივარ და არ იციან, რა ჰქნან. ამ მუხლს მე ვიცი, ვისაც შევტენი მერე.

20.

— ჩვენი გვარდიელები რომ აიღებდნენ ამა თუ იმ სოფელს, მერე მხედრიონი დგებოდა. ბევრჯერ ვნახე და დავრწმუნდი, რომ აღებული სოფლები იყიდებოდა ან იცვლებოდა წამალში. სექტემბრის ბოლო რიცხვებში ოჩამჩირის დაჯგუფებამ მიიღო უკან დახევის გეგმა. მე მაშინ ვიმყოფებოდი ცაგერაში. უცებ გაისმა რადიოდამჭერში შევარდნაძის და ლოთი ქობალიას შეხმატკბილებული ლაპარაკი, ამ ლაპარაკს უსმენდა დაახლოებით 20 გვარდიელი. უკან რომ დავტრიალდი, ვნახე, რომ ოჩამჩირის შტაბი ცარიელი იყო და დათუაშვილი ახვევდა თავის რუკებს და ისიც გარბოდა. მე მას შევეკითხე, ვინ გასცა უკან დახევის ბრძანებამეთქი, მან აბნეულად მიპასუხა, რომ მას არ გაუცია. მოკლედ ახლა მიცვალებულზე არ შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ვინც იქ იყო, ყველამ ყველაფერი კარგად დაინახა, რომ ჩვენი უკან დახევა და აფხაზეთის დატოვება მიდიოდა დაგეგმილი კურსით. მე ჩემს გვარდიელებს ვუბრძანე და ყველა გზა გადავაკეტინე უკან დასახევი. აჩიგვარაში მოვიყარეთ სუყველამ თავი. მე მეორე დილით შემოვტრიალდი ოჩამჩირისკენ. გზაში ვნახე ბუთხუზ თოხაძე, რომელიც მიდიოდა ოჩამჩირეში. ჯერ კიდევ შეიძლებოდა სამურზაყანოს დაცვა, მაგრამ იქაურმა მოსახლეობამ და ბევრმა ჩვენმა გენერალმა შარვლები გაავსეს. ჩემი თხოვნა იქნება დაკითხოთ მაშინდელი ოჩამჩირის გამგებელი და ის გეტყვით ყველაფერს. ახლა მე რომ ჩემს თავზე ვილაპარაკო, ლამაზი არ გამოვა.

21.

— თვითმფრინავები გაიყიდა შევარდნაძესთან შეთანხმებით. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა და არაფერიც მითვისებული. ეს საქმე შეჩერებულია, იყვნენ აქ სხვა საქმეზე. პროკურორები და ხმა არ ამოუღიათ, ის ჯობია გაარკვიონ, ედუარდმა სად გაყიდა სხვა თვითმფრინავები, ან ერთი თვითმფრინავი როგორ მოიპარეს.

22.

— მე არ ვარ ის კაცი, რომელზედაც ფიზიკურ ზემოქმედებას მოახდენენ და ის, ვინც ამას ჩაიდენს, ცოცხალი დარჩება. მე ჩემი ერის გულისთვის ვზივარ და ყველამ კარგად იცის.

23.

— კაბინეტიდან როგორ არ გამოვედი, მაგრამ ჯერ როგორც დეპუტატს მეკუთვნოდა. მერე, პასტერის ქუჩაზე რომ გადავედი, საერთოდ აღარ მივდიოდი იქ. ისე რომ, ესეც კარგად გავრცელებული ჭორია.

24.

— მე და ჯაბას ურთიერთობა ყოველთვის კარგი იყო. ჯერ ჯაბა ჩემთან ვალში იყო და ჩემი გადარჩენილი იყო როგორც თვითონ, ისე მთელი მხედრიონი, აქაც მხედრიონს ყველა ცუდი თვალით უყურებს. აქაც ჩემი დასაცავები არიან. მართალია, ზოგი მხედრიონელი კარგი ბიჭია და პატრიოტი თავის ქვეყნის. მხოლოდ ჯაბას შეეშალა ჩემთან ძალიან, ჩემი დაჭერა რომ განიზრახა, კიდევ კარგი თავის პირით აღიარა, რომ რამოდენიმე თვით მინდოდა თენგიზის დაჭერაო. მე ჯაბა ცოტა ჭკვიანი მეგონა, მაგრამ ცოტა ჭურდულმა მენტალიტეტმა ულალატა. მაგრამ მე ვერაფრით ვერ დავიჯერებ მის მონაწილეობას 29 აგვისტოს ტერაქტში, ადრეც დავწერე, რათ უნდოდა შევარდნაძის ესე ხმაურით მოკვლა, თუ უნდოდა, ერთი ტყვია საკმარისი იქნებოდა, ყოველდღე ერთმანეთს ხვდებოდნენ. მთელი მხედრიონი ედუარდს იცავდა, რაღაც ლოგიკას მოკლებული ტერორისტული აქტი იყო.



მოამზადა

გუგაზ მეგრელიძემ

გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში

შავი თარიღი

გორის ტრაგედია

ნოდარ ნათაძე

1992 წლის 13 ივნისს ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა პატარა ჯგუფი პოლკოვნიკ ბესარიონ (ბესიკ) ქუთათელაძის მეთაურობით ქ.გორში მივიდა რუსული სატანკო ნაწილის განლაგებაში ტანკების წამოყვანის მიზნით. ამ ეპიზოდის გამოძიება ოდესმე ჩატარდება, ამიტომ არ მაქვს პრეტენზია მისი სრული აღწერისა, მაგრამ იმას მაინც მოგახსენებთ, რაც ვიცი. ოპერაცია შეთანხმებული იყო გარკვეულ პირებთან და თანხაც გადახდილი. მაგრამ ნაწილში აღმოჩნდნენ სხვები, ვისთანაც შეთანხმებული არ იყო. მათ გახსნეს ცეცხლი და დახოცეს 34 ქართველი ახალგაზრდა. თვით ბ.ქუთათელაძე სასიკვდილოდ დაჭრეს თავში და იგი რამდენიმე კვირის შემდეგ გარდაიცვალა გორის საავადმყოფოში. რუსული ნაწილიდან ტანკები გამოვიდნენ და სროლით ითარეშეს რამდენსამე საათს გორის ქუჩებში. მათი ნატყვიარები სად დარჩა, მოსახლეობამ იცის.

ბესო ქუთათელაძე იყო სამხედრო კვალიფიკაციის მქონე კაცი, და არა გაუწვრთნელი მოხალისე. მან ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან შექმნა (საჩხერეში) და გაწვრთნა სამხედრო ნაწილი, რომელიც სავსებით უპასუხებდა როგორც მომზადების, ისე დისციპლინის ნორმებს. იგი იყო ერთი იმ მცირეთაგანი, ვინც ბედავდა სსრკ შეიარაღებულ ძალთა საქართველოში მდგომი ნაწილების ხელის ხლებას მათი იარაღის ჩამორთმევის მიზნით. ეს, რა თქმა უნდა, უცნობი ვერ დარჩებოდა რუსეთის სპეცსამსახურებისათვის. მაგრამ ოფიციალური რეაგირება ამაზე, რამდენადაც ვიცი, არ ხდებოდა, — ალბათ, იმიტომ, რომ ამას მოჰყვებოდა საკითხის დასმა საქართველოში რუსეთის ჯარის დგომის იურიდიული საფუძვლის შესახებ, ისეთი საფუძველი კი არ არსებობდა.

ბ.ქუთათელაძის მიერ შექმნილი ნაწილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი ნაწილი იყო. თავისი სტატუსით იგი იყო საქართველოს ეროვნული გვარდიის — შინაგანი ჯარის (ასე განისაზღვრებოდა გვარდიის სტატუსი იმ დროს) ერთ-ერთი ბატალიონი. 1991 წლის აგვისტოს მოსკოვური პუტჩის შემდეგ, როცა, ამ მოვლენის პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგის სახით, მოხდა გვარდიის და მისი სარდლის (თ.კიტოვანი) გასვლა რკონში, ბ.ქუთათელაძის ნაწილი (საჩხერის ბატალიონად წოდებული) მას არ წაჰყოლია. სწორედ ამ ნაწილის შიმართ მოხდა ცილისწამება ტელევიზიის წინ, 1991 წლის სექტემბრის ერთ-ერთ ბოლო დღეს, დაახლოებით 23 საათზე, როცა ტელევიზიასთან შეკრებილი უამრავი ხალხის წინაშე თ.კიტოვანმა განაცხადა: „ბესო ქუთათელაძემ შავნაბადის ბანაკი დაიკავა და 60 ბიჭი დახოცაო". მაპატიოს მკითხველმა, არ შემიძლია არ დავუმატო. ბრბო შეიძრა და შავნაბადასაკენ წასვლა დააბირა. მაშინ მე (იმ წამსვე, კიტოვანის შემდეგ) ავვარდი იმ შემაღლებაზე, საიდანაც იგი ლაპარაკობდა, და დავიძახე: „რას შვრებით, ხალხო, მოიცადეთ, ჯერ გავიგოთ, სინამდვილეა თუ არა-მეთქი". გაიგზავნა ჯგუფი ამბის გასაგებად და აღმოჩნდა, რომ არც ერთი სიტყვა მართალი არ იყო... (სვინდისგარეცხილმა ჭორმა და პრესამ ეს ნათქვამი (ბესომ შავნაბადა დაიკავა და ბიჭები დახოცაო) მე მომაწერა. დაე, თვითონ აგონ პასუხი ღვთისა და თავისი სვინდისის წინაშე).

სექტემბრის შუიდან დეკემბრის შუამდე მე მივდი-მოვდიოდი თბილისის ზღვასა და უზანაეს საბჭოს შორის იმ მიზნით, რომ ეგებ როგორმე სისხლისღვრა, შემდეგ კი დიდი შეტაკება არ მომხდარიყო. ჩემი ამ ნებაყოფლობითი მისიის მასალებს ვაქვეყნებდი. ასევე დადიოდა რამდენიმე სხვა დეპუტატიც. ერთი მათგანი იყო ბ.ქუთათელაძე. ერთხელ ზღვიდან მისი მანქანით („კოლმეურნით") წამოვედი. ჩვენი აზრი ვითარებაზე ერთი და იგივე აღმოჩნდა. პრაქტიკული დასკვნაც ერთი: რადაც უნდა დაგვიჯდეს, შეტაკება უნდა თავიდან ავიცილოთ!

1992 წლის 13 ივნისს საქართველოს მართავდა სახელმწიფო საბჭო ე.შევარდნაძის თავმჯდომარეობით. მე მქონდა მიღებული წინადადება მის წევრად ყოფნისა, მაგრამ უარი ვთქვი, ვინაიდან ეს საბჭო იყო უკანონო. მაგრამ დასწრება შემეძლო (ასეთი დამსწრე არაერთი იყო) და ხშირად ვესწრებოდი კიდეც, ოღონდ ვჯდებოდი პრესასთან და არა წევრებთან. გორის ტრაგედიამდე ორი ან მაქსიმუმ სამი დღით ადრე საბჭოს სხდომაზე გამოვიდა საბჭოს წევრი ირინა სარიშვილი და უარყოფითად დაახასიათა გვარდიის ყოველდღიური მოქმედება ბ.ქუთათელაძის მაგალითზე. მე გავოცდი, ვინაიდან ბ.ქუთათელაძის ნაწილი არა მხოლოდ ერთ-ერთი შედარებით ყველაზე დისციპლინიანი ნაწილი იყო გვარდიაში, არამედ აბსოლუტურად დისციპლინირებულიც. შემდეგ სიტყვა აიღო შევარდნაძემ და მანაც ასევე უარყოფითად მოიხსენია ბ.ქუთათელაძე დისციპლინის თვალსაზრისით. ერთი-ორმა კაცმა სხვამაც შეაწია სიტყვა ამავე მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრი არ ვიყავი, მეც ავდექი და ერთიორი მწვავე სიტყვა ვთქვი ბ.ქუთათელაძის დასაცავად. შემდეგ ჩამესმა ყურთ (ერთი ან მაქსიმუმ ორი დღის ფარგლებში), რომ ბ.ქუთათელაძეს ტრასაზე აღმოჩენილი და დაკავებული ჰყავდა (სათანადო შეტყობინებით ზემდგომთათვის) განსაკუთრებით ძვირფასი ტვირთი, რომელიც საქართველოდან თურქეთისკენ მიდიოდა (შესაძლოა, ტრანზიტული).

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბესიკ ქუთათელაძის სული და 1992 წლის 13 ივნისს გორში დაცემული ქართველი ვაჟკაცების სულები! საუკუნო ხსოვნა მათ და გამარჯვება მათს და ჩვენს ყველას საერთო საქმეს! ჩვენ უსათუოდ გამოვაქვეყნებთ საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებას, რომლითაც სსრკ ჯარები საქართველოში დაკვალიფიცირებულ იქნა როგორც საოკუპაციო ჯარები. დავბეჭდავთ აგრეთვე უკანონო სახელმწიფო საბჭოს დადგენილებას კანონიერი უზენაესი საბჭოს ამ კანონიერი დადგენილების გაუქმების შესახებ (რაზეც, იმედი მაქვს, ამ უკანონო საბჭოს პირად შემადგენლობას კანონი პასუხს მოსთხოვს თავის დროზე). ამჯერად კიდევ ერთხელ გამოვაქვეყნებთ საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილებას საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ძალების 1995 წლის ბოლომდე გაყვანის შესახებ. ის დადგენილება პარლამენტის ოფიციალურ მაცნეში არ დაიბეჭდა (დაიბეჭდა მხოლოდ მისი რიგითი ნომერი „125"), რაც, რაღა თქმა უნდა, სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება, თუ არა როგორც ფალსიფიკაცია, მიმართული საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ და რუსეთის ინტერესთა სასარგებლოდ, რომელზედაც პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის თავმჯდომარე და სპიკერატი). ტექსტი დაბეჭდილია მხოლოდ გაზეთში „საქართველო" ქართულ ენაზე და გაზეთში „Свободная Грузия" რუსულ ენაზე.

ვბეჭდავთ ამ დოკუმენტს:

ნოდარ ნათაძე:

სვინდისგარეცხილმა ჭორმა და პრესამ ეს ნათქვამი მე მომაწერა

ეროვნული მეხსიერება

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმოკლეს ვადაში გაყვანის შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში რუსეთის შეიარაღებული ძალების შემოსვლა 1921 წელს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება იყო სუვერენული ქვეყნის მიმართ, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის მხრიდ საქართველოს სრული ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, ხოლო შემდგომ საქართველოს ძალადობით ჩართვა საშჭოთა კავშირის შემადგენლობაში, და რომ არც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების, არც შემდგომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არა აქვს სხვა საფუძველი, გარდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად შექმნილი ზემოხსენებული მდგომარეობის მექანიკური გაგრძელებისა, საქართველოს პარლამენტი

ა დ გ ე ნ ს:

1. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები გაიყვანონ საქართველოს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიიდან უმოკლეს ვადაში; თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან საამისოდ საჭირო მინიმალური ვადის განსაზღვრაზე, ეთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ექსპერტების მოვლინება საკითხის გადასაწყვეტად.

2. რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელი არსებული იარაღი და საბრძოლველი, ნაციონალიზებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით, ჩაბარება-მიღების აქტით გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს. რუსეთის მხარესთან კვოტების თაობაზე უთანხმოების შემთხვევაში ეთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოავლინოს საქართველოში ექსპერტები რესპუბლიკისადმი გადმოსაცემი იარაღისა და საბრძოლველი ტექნიკისთან შესაბამისობის დასადგენად.

1994 წლის პირველ კვარტალში, თუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დაიდო შეთანხმება რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების საქართველოდან გასვლის შესახებ შესაბამისი გრაფიკი, ვადა გაგრძელდეს, მაგრამ არა უგვიანეს 1995 წლისა.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ საათანადო წარდგინება შეიტანოს რუსეთის ფედერაციის მთავრობაში რუსეთთან ორმხრივად ახალი ურთიერთობის დამყარების პერსპექტივით.

3. ეკ

საქართველოს პარლამენტის სპიკერი — ვახტანგ გოგუაძე

თბილისი
1993 წლის 1 ივნისი
№ 256-IIს

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა საორგანიზაციო კომიტეტის წერილი საქართველოს პარლამენტისადმი

ბატონო პარლამენტარებო!

შეგახსენებთ რა,

— რომ საქართველო არა მხოლოდ ისტორიის მიერ, მეცნიერული და პოლიტიკური ლიტერატურის მიერ და თაობათა უშუალო მეხსიერების მიერ არის ცნობილი ბოლშევიკური რუსეთისგან 1921 წლის თებერვალ-მარტში დაპყრობილ და ფაქტობრივად ანექსირებულ ქვეყანად, არამედ ასეთად აღიარებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერაც 1990 წლის 9 მარტს.

— რომ რუსეთი ის ქვეყანაა, რომლის ხელისუფლებამ საქართველოში თითქმის 70 წლის შანძილზე ეროვნული ასიმილაციისა და განადგურების, ტერიტორიული დანაწილებისა და ავტონომიზაციის, ადამიანის ელემენტარულ ადამიანურ უფლებათა დათრგუნვის ზისხლიანი რეჟიმი განახორციელა, რითაც მრავალასიათასიანი მსხვერპლი გამოიწვია ქართველ ერში,

— რომ, მიუხედავად ქართველი ერის მიერ მეორე მსოფლიო ომში სსრკ საზღვრების დასაცავად გაღებული დაახლოებით 350000 მებრძოლის მსხვერპლისა (რამაც მთელი ერის დაახლოებით 16 % შეადგინა), რუსეთმა გააგრძელა თავისი მოქმედება, რომელიც მიმართული იყო ქართველი ერის ნელი მოსპობისა და გადაგვარებისაკენ და დაგვირგვინდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის ხმარებით, ქართველი მოსახლეობის გენოციდით აფხაზეთში და ანტიქართული „ეთნიკური წმენდით" როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის ზონაში 1989—1996 წლებში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვ.ნადიბაიძის მიერ პარაფირებული და პრეზიდენტის ე.შევარდნაძის მიერ ხე-

გაგრძელება მე-8 გვ.

რედაქციისაგან: ზემოთ გამოქვეყნებული დოკუმენტი ნათლად მეტყველებს იმაზე, აქვთ თუ არა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ან იურიდიული, ან მორალური უფლება აწარმოონ მოლაპარაკება ან რუსეთისათვის სამხედრო ბაზების გადაცემის, ან მათთვის მძიმე შეიარაღებათა ქვოტების დათმობის შესახებ. ქვემოთ დაბეჭდილი ორი განცხადება ამ თემას ეხება.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება

პარიზის ხელშეკრულების ქვეყნების 30 მაისის ვენურ შეხვედრასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად მიუახლოვდა რეალიზაციას მძიმე შეიარაღებათა საქართველოს კუთვნილი ქვოტის ერთი დიდი ნაწილის რუსეთისათვის გადაცემის პროექტი, რომლის შინაარსი ზოგად ხაზებში ცნობილი იყო საზოგადოებისთვის ადრეც. ეს პრაქტიკულად ნიშნავს საქართველოს არმიის მძიმე შეიარაღებათა დატოვებას, პრინციპულად და დიდი ხნით, ისეთ დონეზე, რომელიც ვერ გასწვდება არა თუ გარეშე ძალისაგან საქართველოს ტერიტორიის დაცვას, არამედ შინაგანი მადესტაბილიზებელი ძალების დათრგუნვასაც კი, აგრეთვე საქართველოში მდგომი რუსეთის ძალებისათვის ისეთი უპირატესობის მიცემას და შენარჩუნებას, საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს წინააღმდეგობის გარეშე აკონტროლონ საქართველოს ტერიტორია. რუსეთისათვის სამხრეთ ფლანგზე ქვოტების გადაცემა დამატებითი ფაქტორია, რომელიც აძლიერებს ზემოხსენებულ ხიფათს საქართველოსთვის.

აცხადებს რა პროტესტს საქართველოს პასუხისმგებელ წარმომადგენელთა ამგვარ გარიგებაზე თანხმობის გამო, რომელიც პირდაპირაა მიმართული საქართველოს და მის მოსახლეობის უსაფრთხოების წინააღმდეგ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საორგანიზაციო კომიტეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხსენებული დათმობა რუსეთისადმი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გაკეთებულია ისეთ დროს, როცა რუსეთის დუმის პოზიციაში საქართველოს მიმართ, რუსეთის რეალურ პოლიტიკაში და რუსეთის ეროვნული უშიშროების პოლიტიკაში, რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია, დაუფარავად არის გამოხატული საქართველოზე რუსეთის დომინაციის პოლიტიკის შემდგომი გატარების გეგმა, რაც გამორიცხავს ზემოხსენებულ გარიგებაზე ქართველ პოლიტიკოსთა თანხმობის კვალიფიკაციას როგორც კეთილსინდისიერი ცდომისას.

აბიურ ერიკნტებისა და მე-11 კლასელთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“

(განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

როგორ იწერებოდა „სამანიშვილის დედინაცვალი“

დავით კლდიაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არცთუ ხანმოკლე ცხოვრების შესახებ დიდებული მემუარები დაგვიტოვა, საკუთრივ ნაწარმოებებთან დაკავშირებით მხოლოდ მწირი თითოოროლა ფრაზა გაიმეტა, ამ მხრივ ბედნიერ მკითხველისად უნდა ჩითვალოს „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მართალია, ვრცლად არც ამ მშვენიერი თხზულების შექმნის შესახებ მსჯელობს, მაგრამ მრავალმხრივ საყურადღებოა ის ჩანაწერიც, რომელსაც აქ წარმოვადგენთ.

„ერთხელ მე და გრიგოლ ვოლსკი ბათუმის ბულვარში ვართ — იგონებდა მწერალი — ზღვის პირას ვზიგართ. ვოლსკიმ თქვა, — ერთი ჩვენი კარგი ნაცნობისას წავიდეთო. დაეთანხმე, გამოვდივართ ბულვარიდან. გზაში ჩემი მოთხრობა გამახსენდა, ჩემი გმირები ალაპარაკდნენ: ვოლსკი რაღაცას მეუბნება — მე არ მესმის. უცებ ჩემ თვალწინ თითქო ჩამოფარებული ფარდა გადიწია და ჩემი მოთხრობა, თავიდან ბოლომდი, ერთ წუთში გადამეშალა... დასაწყისიც აგერ არის, ნაძებარი დასაწყისი, რომელსაც გაყვა, გაყვა რაღაც გატაცებით სიტყვა, წინადადება, სურათი... სურათები ბოლომდი...

— მე არ მოვდივარ, გრიშა! — ვუთხარი და გავეშურე ბანაკისაკენ, სადაც იმხანად ვიყავი.

— რა იყო, რა მოგვიდა? — მეკითხება გაკვირვებული ვოლსკი. მე კი აჩქარებული ნაბიჯით მივდივარ, მივედი ბანაკში, შევედი ჩემს კარავში, ჩამოვუშვი შესავალი კალთა, გადმოვიღე ქაღალდები და გატაცებით დავიწყე წერა, გაცხარებული.

ეს მუშაობა კი არა, იყო უმაღლესი სიამოვნება.

ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“. ამ მოთხრობას ბედი ეწია ჩემი ძვირფასი მეგობრის ეკიმ კონდრატი მხეიძის წყალობით. კონდრატი მხეიძე, ალექსანდრე შატილოვი და ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა) იყვნენ ის პირები, რომელთ ვუყვებოდი ყოველი განზრახული მოთხრობის შინაარსს, სურათებს, წვრილმანებს. განსხვავებული ხალისით შევუდგებოდი ხოლმე მათ მომართვას.

— აბა, მოყევი! — და მეც მოვყვებოდი. მოთხრობა ამ მოყოლაში შენდებოდა, მუშავდებოდა იოლად, ხალისიანად.

„მოამბეს“ რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა,. ჟურნალისთვის უსათუოდ რამე გამომგზავნეო. იმხანად მჭონდა პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია“ — პლატონის სიზმარი. ვუთხარი ჩხეიძეს: როგორ მირჩევ, გავუგზავნო თუ არა ეს პატარა „სიზმარი?“ — ნუ სულელობ! — შემომძახა მან. — შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნება: არ გაგზავნო იცოდე!

დავუჯერე მეგობარს და მოკლე ხანში პატარა სიზმრის მაგვრად დაიწერა მოზრდილი მოთხრობა. კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მჭონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან — პავლე მაჭავარიანთან. ჩემთვის ძვირფასი პიროვნება იყო იგი. კარგი შეძლების კაცი, გამოცდილი, შეგნებული, ცხოვრებაში ჩაბედული, ჭკვიანი, ენამახვილი. იგი საყვარელი ადამიანი იყო თავის კუთხეში. მისი ოჯახი მუდამ სავსე იყო სტუმრებით: მოხუცი, ახალგაზრდა, ყმაწვილობა თავს იყრიდნენ მის ოჯახში. ვის არ ნახავდი აქ, რას არ გაიგონებდი. (გაიხსენეთ ჯიმშერ სალობერიძის ოჯახის აღწერა „სამანიშვილის დედინაცვლიდან“ ნ.გ.). მიყვარდა აქ ყოფნა, მიყვარდა მოხუცთან საუბარი. მიყვარდა და მაინტერესებდა მის ოჯახში მოსიარულეთა თვალის დევნა.

აქ შემეწყო ხელი ჩემს ლიტერატურულ მუშაობაში.

— ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზე უნდა მიგეწერა: მოთხრობა დავით კლდიაშვილის და პავლე მაჭავარიანის! — ხუმრობით მეუბნებოდა მოთხრობით ნასიამოვნები მოხუცი.

მოთხრობამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია „მოამბეს“ რედაქციაშიც. ჭყონიამ ვრცელი წერილი გამოგზავნა განსხვავებული სითბოთი დაწერილი, სიხარულით, რჩევით, დარიგებით სავსე. ბედს ვერ დავემდურები — ჩემს ნაშრომებს მუდამ ხვდებოდა ასეთი თბილი მიღება, რაც მე მხდიდა მეტ ფხიზელ მომუშავედ.

როცა „სამანიშვილის დედინაცვლის“ ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში: მასთან იყო არტურ ლაისტი.

— მე შენ ხმას არ გაგცემ! — შემომიტია პეტრემ. — რიგიანი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, ამჩატებული, უხვირო ყოფილხარ.

— რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? — შევეკითხე.

— რატომ და მიტომ, — ასე მალე დაათავე სამანიშვილის მოგზაურობა! გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში — რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი.

— არ ვიცნობ ქართლს და კახეთს.

— გაიცნობდი, გაიცნობდი, შე ზარმაცო, ზარმაცო დათიკო! თან წყრებოდა, თან ხითხითებდა გულიანად. — შენი ჭირიმე, რა ლაზათიანად გაქვს დაწერილი“.

ეს არის ყველაფერი ის, რაც თვით დავითის ნაწერებში შეიძლება მოიძიოთ „სამანიშვილის დედინაცვალის“ შესახებ.

დაკვირვებული თვალი აღნიშნულ მოგონებაში ბევრ რასმე საგულისხმოს ამოიკითხავს.

ჩანს, როგორ წერდა დავითი, როგორი იყო მისი შემოქმედებითი ლაბორატორია. „თითქოს ფარდა გადაიწია და ჩემი მოთხრობა თავიდან ბოლომდე ერთ წუთში გადამეშალა“. მწერალი თანამონაწილეა, ცოცხალ სურათებად წარმოიდგენს ყველა იმ სიუჟეტს, რომელსაც ნაწარმოებში განავითარებს. უხილავად ასდევნებია ბეხრეკ და ზურგგადატყაულ ცხენზე ამხედრებულ სახეჩამოზეთილ პლატონ სამანიშვილს. არ ჩანს არსად და იგრძნობა ყველგან. ამიტომ არის, ვერსად, ვერც ერთ სიუჟეტში, ვერცერთ დიალოგში ვერ იპოვით ყალბ, არაბუნებრივ ფრაზას, ამბის არამოტივირებულ განვითარებას. დავით კლდიაშვილის დიდი მწერლობის საიდუმლო, უპირველეს ყოვლისა, მის ბუნებრიობაშია. მის ხელოვნებაში არაფერია ხელოვნური. დავითი ვირტუოზულად დაბიჯებს იმ ბეწვის ხიდზე, რომელიც ნატურალიზმსა და რომანტიზმს შორის პარნასიდან ჩამოუშვიათ მუზებს — ხელოვნების ქალღმერთებს.

მოგზაურობა რომ მხატვრული ხერხია, იმერეთის ოკრო-ბოკრო გზებზე სადედინაცვლოს საპოვნელად გამოსული პლატონის ხეტიალი რომ ბრწყინვალე მიგნებაა მწერლისათვის მხატვრული ამოცანის ხორცშესასხმელად, ეს თხზულების წაკითხვისთანავე შეუმჩნევია პეტრე უმიკაშვილს, მაგრამ დახეთ, რა საინტერესო პასუხს იძლევა დავითი მეგობრის საყვედურზე — გადმოვიყვანდი პლატონს ქართლში, კახეთში, რა საინტერესო სურათები იქნებოდა, იმერეთში რად მოანახინე სადედინაცვლო.

დავით კლდიაშვილი ამბობს — არ ვიცნობ ქართლს და კახეთს.

ხედავთ, როგორ მოთხოვნას უყენებს მწერალი საკუთარ თავს. ნიუანსებში, ძირისძირობამდე. თვალით უნდა ხედავდე, გუმანით, ყნოსვით, ტანით უნდა გრძნობდე იმას, რაზედაც წერ. ფლობერივით დარიშხანის გემო უნდა იგრძნო პირში, როცა მადამ ბოვარს „წამლავ“. ცვაიგივით გულის გასკდომამდე უნდა გიყვარდეს, როცა უცნობ შეყვარებულ ქალს წერილს დაწერინებ, გრძნობებს ისევე ბუნებრივად უნდა ამოჰყვნენ ის ერთადერთი და კონტექსტისათვის შეუცვლელი სიტყვები, როგორც ბუნებრივად სწყდებიან ცაზე ამოგორებულ ცხელ დისკოს სხივები.

ასე ხდება კლდიაშვილის შემოქმედებაში.

ვინ იცის, პავლე მაჭავარიანმა რამდენ სტუმარს მოუთხრო ბერწი სადედინაცვლოს საძებნელად სოფელ-სოფელ მოხეტიალე პლატონ სამანიშვილის სიუჟეტი, ისე როგორც პუშკინს, ვინ უწყის გოგოლის გარდა, რამდენი მეგობარი უზითხითებია ჩიჩიკოვის გაუგონარი მოგზაურობით მკვდარი სულების საყიდლად მეძებარი ძაღლივით ენაგადმოგდებული რომ დაქოშინობდა ერთი თავადის სამფლობელოდან მეორე, მეათე და მეასე თავადის სასახლისაკენ. მაგრამ თავისთავად ამბავი, თუნდაც საკვირველი მწერლობისათვის, არაფერს ნიშნავს. ყველაფერს ნიშნავს საკვირველი ნიჭი, თხრობის, სურათების ცოცხლად ხატვის და რაც მთავარია ამბის განზოგადების იშვიათი უნარი, რომლითაც ლიტერატურის ისტორიას სამუდამოდ შერჩა მაინცადამაინც გოგოლის სახელი, რომელსაც „მკვდარი სულების“ ფაბულა პუშკინმა უამბო და სახელი დავით კლდიაშვილისა, რომლის გარდა, ვიმეორებთ, მის მიერ გადმოცემულ ამბებს იმერეთში მოყოლით, ალბათ, სხვაც ბევრი ვინმე მოგიყვებოდათ.

აქედან გამომდინარე, რაკი ნაწარმოების განხილვა განვიზრახეთ, ლიტერატურის მასწავლებელმა და ლიტერატურის შემსწავლელებმა ერთად დავსვათ კითხვა და ერთმანეთს გავუზიაროთ ფიქრი იმ ამოცანის ამოსახსნელად, თუ რაში დევს ნაწარმოების წარმატების საიდუმლო.

ჩვენ არ გაგვიჭირდება მოვძებნოთ თემა ან თემები ანუ ამოვიკითხოთ ის შინაარსი, რაც ჩაფენილია „სამანიშვილის დედინაცვალში“. ჩვენ მწერლის სათქმელის მიხვედრასა და განზოგადებასაც მოვახერხებთ, არც ეს არის ძალიან ძნელი საქმე, რადგან თუ ოდნავ გონიერი მკითხველი ვერ მიხვდება რა უნდა, რაზე წერს და რისთვის წერს შემოქმედი, ეს თითქმის ყოველთვის მწერლის პრობლემაა და არა მისი მკითხველისა (ბუნებრივია, ღმერთი ყველას ვერ აკოცებდა შუბლზე და ასეთი ვითომ მწერლებიც არსებობენ).

უმთავრესი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში არის არა „რა“, არამედ „როგორ“. უმთავრესია არა გრძნობა, განცდა, რომელიც ჩვენც გაგვაჩნია, უბრალო მოკვდავთ, არამედ იმ გრძნობათა, განცდათა და ამბავთა ისე გადმოცემა, როცა პერსონაჟთა ცხოვრების სრულუფლებიანი წევრი ჩვენც ვხვდებით თხზულების კითხვისას და იმდენად რეალისტურად, ჩვენეულად და ბუნებრივად გვეჩვენება მხატვრის მიერ შეთხზული სამყარო, რომ უნებლიედ წამოგვცდება „ამას ხომ მეც დავწერდი“... ან უკეთეს შემთხვევაში ლიტერატურაში კარგად ჩახედული პროფესიონალი იტყვის: აი, ამას მე ვერ დავწერდი.

მწერლისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტოქე მკითხველის გაჩენა წარმატების დასტურია, უბედურება ის არის, როცა ამა თუ იმ მწერლის თხზულების კითხვისას ყალბი დიალოგებისა და არამოტივირებული, კაბინეტიდან წარმოდგენილი, თანაგანცდის გრძნობის გარეშე აღწერილი სიუჟეტების გადამკიდე მკითხველი იტყვის — ამას მე არ დავწერდი.

მაშ ასე, წარმოიდგინეთ, რომ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაზე არავისი აზრი არ გაქვთ მოსმენილი.

ჩვენ თავად უნდა განვსაზღვროთ, რა ქმნის იმ ესთეტიკური სიამოვნების საიდუმლოს, რაც „სამანიშვილის დედინაცვალის“ კითხვისას მოგვენიჭა.

ლიტერატურისმცოდნეობას, ისე როგორც, საზოგადოდ, ხელოვნებისმცოდნეობას ცხადია არ გააჩნია ის ზუსტი ბარომეტრი, რომლითაც მხატვრული აზროვნების რაობა შეფასდება. ამიტომ თითოეულ თქვენთაგანს შეგიძლიათ იპოვოთ ის საიდუმლო, რომლითაც მხატვრული თხზულების ახალ სამყაროს ეზიარებით. სულაც არ არის საჭირო მწერლის სამყაროს კარს ყველამ ერთნაირი გასაღები მოარგოს. ამ სამყაროში შესვლაც თავისებური შემოქმედებაა და იმდენივე ზღურბლი არსებობს იქ შესაბიჯებლად, რამდენი გონიერი მკითხველიც ჰყავს დიდ მწერალს.

დავარღვიოთ ტრადიცია და „სამანიშვილის დედინაცვლის“ განხილვა დავიწყოთ საკითხით — „როგორ“. როგორ გადმოსცემს მწერალი ამბავს, მოვლენას, საგანს, ხასიათს.

ოსტატობის საიდუმლო

როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში ყველაზე ძნელი ყოველთვის საქმის დაწყება, პირველი ხნულის გავლებაა. დავითს აქვს ასეთი ჩანაწერი: „ჩემთვის პირველი სტრიქონი ყოველთვის ტონის მომცემი იყო. ამ პირველი სტრიქონიდან, ასე ვთქვათ, გასრიალდებოდა მოთხრობა. იგი ტონს აძლევდა მოთხრობას. დიდხანს ვარჩევდი, თუ **როგორ** დამიწყო, **რა სიტყვებით** შევდგომოდი წერას“.

აბა, გავიხსენოთ, როგორ იწყება „ქამუშაძის გაჭირვება“.

„სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლი ეთხოვა“.

პირველივე ფრაზა დავით კლდიაშვილის განუმეორებელი სტილისტიკის დასტურია. აი, რატომ: შინაარსი ხომ ძალიან მარტივია ამ ფრაზისა, საშუალო ნიჭი, ვთქვათ, ასე გამოხატავდა — „აზნაურ ოტია ქამუშაძეს ცოლის თხოვის დრო დაუდგა“ რითაც, ერთი შეხედვით, არსებითად არაფერი იცვლება, მაგრამ საქმეც ის არის, რა სიტყვებით შეუდგება მწერალი თავისი ფიქრის ხორცშესხმას — იმას აქვს დიდი მნიშვნელობა. კლდიაშვილისეულ დასაწყისში მისთვის დამახასიათებელი ისეთი ირონიაა ჩაქსოვილი, ერთდროულად ემპირიულ, ხილულ სინამდვილესაც რომ გულისხმობს, ამ სინამდვილისადმი ირონიულ დამოკიდებულებასაც, ხოლო შემდგომი მოვლენების ჩვენებით თვით ამ სინამდვილის ტრაგი-კომიკურ არსს. ბევრია არა, ერთ ფრაზაზე ამდენი „ტვირთის აკიდება?“ დავუკვირდეთ: **„სწორედ** დროც იყო და **საჭიროებაც** მოითხოვდა“...

აბა რა უნდა ექნაო, — პირველივე ფრაზით მწერალი თითქოს ირონიით ამართლებს ოტიას გადაწყვეტილებას, არც ერთი სიტყვა სიყვარულზე, ჭაბუკის გულის თრთოლვაზე, ქალის შეყვარებაზე თუ არა მოწონებაზე მაინც. ასე ხომ ჭირნახულის აღების პროცესზეც შეიძლებოდა თქმულიყო: „სწორედ დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა აზნაურ ოტია ქამუშაძეს მოსავალი აეღო“. საქმეც ის არის, რომ ოტიასთვის ცოლის თხოვნა მორიგი, აუცილებელი ყოფითი საკითხის გადაწყვეტაა (ვთქვათ, როგორც ჭირნახულის აუცილებლად აღებაა საჭირო) და არა და არა ადამიანის ცხოვრების გზაჯვარედინზე სიყვარულის ბედნიერად დაგვირგვინების აქტი. კლდიაშვილის კუჭგამხმარი გმირების ფიქრებში სიყვარულს არ გააჩნია თავისი წილი სამკვიდრო.

პირველივე ფრაზაში კიდევ ერთი სიტყვაა, ვერცერთი სხვა სიტყვით რომ ვერ შეცვლით. „საჭიროებაც მოითხოვდა“-ო. „სწორედ დროც იყო და გარემოებაც მოითხოვდა“ — რომ დაეწერა ავტორს, რაღაც ძალიან დიდი ნიუანსი დაიკარგებოდა. კი ბატონო, გარემოება მოითხოვდა ნიშნავს იმას, რომ ვითარება ხელს უწყობდა ჭაბუკს საქორწინოდ, ნიშნავს იმასაც, რომ მოხუცებული დედისამარა დარჩენილ ოჯახს ახალგაზრდა ქალის ხელი სჭირდებოდა და ა.შ. მაგრამ ეს სიტყვა „საჭიროება“, მოიცავს ყველაფერს ზემოთქმულს ერთი დამატებითი, ასევე ყოფითი, თან ირონიზირებული ნიუანსით — სოფელში გამოკეტილმა, ჯეელმა ოტიამ, ყანაში გახუწყვეტლივ თოხის მობაყუნემ, ქალის საჭიროება იგრძნო...

ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთხრობის სრულად ჩაკითხვის შემდეგ, მკითხველი რწმუნდება: საჭიროების მიხედვით კი, მაგრამ გარემოების გამო სწორედ დრო არ ყოფილა საწყალ ოტიას ცოლი ეთხოვა, ნაწარმოების დასაწყისი საერთოდ ტრაგიკომიკურ ელფერს იძენს.

ასე რომ, კლდიაშვილის ჩანაწერი — „დიდხანს ვარჩევდი **თუ როგორ დამეწყო, რა სიტყვებით შევდგომოდი წერას**“, — მხოლოდ თეორიული განაცხადი არ არის.

ასევე მრავლისმეტყველია „სამანიშვილის დედინაცვალის“ დასაწყისი, პირველივე სულ რაღაც 8 სიტყვიანი წინადადებაც.

„ბეკინა სამანიშვილი, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო, გვარიანი ღარიბიც“.

მწერალი თავისი პერსონაჟის სიღარიბეზე ხაზგასმას არ სჯერდება. მეორეჯერ აკეთებს აქცენტირებას — გვარიანი ღარიბიო — წერს და ეს აქცენტი თხზულების საერთო სტილისტიკაში, ბეკინას გაუთავებელი ტრაბახის ფონზე საკუთარ „სიმდიდრეს“ რომ აღუფრთოვანებია, თანდათანობით იძენს მხატვრულ ეფექტს.

მეორე გარემოებასაც მიაქციეთ ყურადღება „ბეკინა სამანიშვილი ღარიბი აზნაური იყო“. ერთადერთი სიტყვა გამოვტოვე — „რასაკვირველია“. არადა, ეს უკვე აღარ არის კლდიაშვილისეული ფრაზა. ერთი სიტყვით — რასაკვირველია, — დავითი თხზულების დასაწყისშივე კავშირს აბამს თავის წინა, უფრო დაწერილ და მომდევნო, ჯერაც შესათხზავ ნაწარმოებებთან.

ჩვენ ხომ ადრეც ვთქვით, რომ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებში ზოგადად ერთი ხალხი ჩანს ავანსცენაზე. შიშშილით, სიღატაკით გაწამებული ადამიანი, რომელსაც წართმეული აქვს მზისქვეშეთში ადამიანურად ცხოვრების უფლება და იბრძვის არსებობის უფლების შენარჩუნებისათვის, რომელიც მხოლოდ სახეს, სახელს და გადარჩენისათვის ბრძოლის ხერხებს იცვლის სხვადასხვა თხზულებებში. ამიტომ „ბეკინა სამანიშვილიც, რასაკვირველია, ღარიბი აზნაური იყო“ ანუ მწერალი დასაწყისშივე მიგვანიშნებს, რომ წინა თხზულებებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ სამყაროში აღმოვჩნდებით.

თუმცა მწერლის დიდი ნიჭის წყალობით უკვე ნაცნობი სამყარო ერთფეროვნების საშიშროების ნაცვლად, იმდენად ახლებური კუთხით, მოულოდნელი სიუჟეტებით წარმოჩინდება, თითქოს მწერალი საკუთარი შესაძლებლობების ამოუწურაობის აზარტით იყოს შეპყრობილი.

პლატონ სამანიშვილის საგა, ეს არის ტრაგი-კომედიის ბრწყინვალე ნიმუში, მივყვეთ მკითხველო, ბეხრეკ ცხენზე „ამხედრებულ“ (ესეც კლდიაშვილის სტილისტიკიდან არის), ბერწი სადედინაცვლოს მოსახილავად წასულ უბედურ პლატონ სამანიშვილს, მის უბედურებაზე რომ აგერ უკვე საუკუნეა იცინის ქართველი მკითხველი და ამ სიცილით ან ამ სიცილთან ერთად გული რომ ეკუმშება.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა.

იუმორის გვერდი — წუთშესვენება

გურულები იციინიან

ბრეჟნევის დროს, როცა საბჭოთა მთავრობამ ეგრეთწოდებული სასურსათო პროგრამა მიიღო და მას ფართო აგიტაციას უწევდა, ოზურგეთ-ურეკის ავტობუსში ქვეყნის გალარიბებაზე საუბრისას სიტყვა ამ პროგრამაზე ჩამოვარდა. ზოგმა რაღაც იმედი გამოთქვა, ზოგმა სულ გადაწურა წყალი — არც მაქედან გამოვა რამე, სისულელეაო. ერთმა ხანშიშესულმა კაცმა, მანამდე ჩუმად რომ იჯდა, თქვა: მე რომ მკითხოთ, ბიძია, კომუნისტებზე ჭკვიანი ხალხი ქვეყანაზე არ გაჩენილა. ჯერ საჭმელს სურსათი დაარქვეს, მერმე თქვეს, სურსათი არა გვაქვსო და არაფერი... ჩვენც გაჩუმებული ვართ! რომ ეთქვათ, საჭმელი არ არისო, გადავირეოდით და დავჭამდით ერთმანეთს.

* * *

სილაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, იური დარჩიამ, გვიამბო: ციალა დარჩიას ბრიგადირის პირით შევუთვალე: შენი თხები მოგვაშორე, "თემის ეზოში" ხტებიან და ყველაფერი გახრეს და შეჭამეს-მეთქი. პასუხად მივიღე: რაც თქვენ ამ კოლმეურნეობაში გახარით და შეჭამეთ, იმასთან შედარებით ჩემ თხებს რა უნდა გაეხრათ და შეეჭამათო?!

* * *

ძიმითელი გივი ანდღულაძე ღიმილით იხსენებს: ინსტიტუტის დამთავრებისას, თბილისი რომ უნდა დაგვეტოვებინა და ჩვენ-ჩვენი გზით წავსულიყავით, მე და გენო სალუქვაძემ ჩვენს სატრფოებს საქმის გადასაწყვეტად წერილები გავუგზავნეთ. მე გენოს სახელით გენოს რჩეულს მივწერე, ხოლო ჩემსას ჩემი სახელით — გენომ, ოღონდ ისე, რომ ერთმანეთის ბარათებს არ გავცნობივართ.

— მერე? — ვერ ვითმენ მე.

— რა მერე?! გენო იმავე შემოდგომაზე დაქორწინდა, მე კი რვა წლის შემდეგ სხვა შევირთე! ის წერილი გენოს მეუღლეს ახლაც შენახული აქვს.

* * *

გივი ანდღულაძეს შაბათს თავისი ქორწილი რომ უნდა გადაეხადა, ხუთშაბათს მამა ნესტორი დაასაფლავა. ბოლოს, მიცვალებულის სულის ახსნაზე, შინაურები და ახლობლები რომ დარჩნენ, გივის დედამ საპატარძლოს და ზირას დედას განუცხადა: უქორწილოდ რძალს ვერ მოვიყვან და ქორწილს კი ნესტორის წლისთავამდე ვერ გადავიხდიო. ზირას დედამ იტკიცა, დანიშნულ ქალს ერთ წელს შინ ვერ გავაჩერებო. ამაზე მომავალი მძახლები ისე წაიკიდნენ, დედამისმა ზირას სანიშნო ბეჭდები და საათი წააძრო და მაგიდაზე დაყარა.

— ზირა ჩემი ცოლია და დღესვე აქ რჩება! — დინჯად, ხმადაბლა განაცხადა გივიმ, აქამდე დავაში რომ არ ერეოდა და საქმეც გადაწყვიტა.

— აგი ნესტორის სულის ახსნა კი არა, გივის სულის ახსნა გამოვიდა! — ჩაილაპარაკა მიშა მურვანიძემ, გივის მეზობელმა და მეგობარმა.

* * *

მძღოლმა შლაგბაუმთან ავტობუსი გააჩერა, საჭეზე გაზეთი გაშალა. უცებ ხმამაღლა კითხულობს: კენიაში თუ კამბოჯაში ქალმა ხუთი ტყუპი ქალიშვილი შობა, დედა კარგად გრძნობს თავსო.

— მამა რავა გრძნობს თავსო, იგი არ წერია? — კითხულობს უკან მჯდომი ხანშიშესული სოფლელი ქალი, რომელსაც ძარით ქათმები მოჰყავს.

არადა, როგორია ერთბაშად ხუთი ქალიშვილის მამობა!

ჩაიწერა ბორის დარჩიამ.



ვივა კონკურს-ლატარიებს!
მოიგო ვინმემ კოკა-კოლას შეპირებული ფეხბურთის საგზური?..

ჩვენი გაზეთის (და არა მარტო ჩვენი გაზეთის!) მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ რამდენიმე თვე მთელი საქართველო ტელევიზიით თვალ-ყურს ადევნებდა... თვალ-ყურს ადევნებდა კი არა, მთლიანად ჩართული იყო ფირმა „კოკა-კოლას“ მიერ გამოცხადებულ კონკურს-ლატარიაში: კოკა-კოლას მოყვარულ თუ არამოყვარულ მყიდველთაგან ვისაც ბედმა გაუღიმა და შეხვდა ამ ღვთაებრივი სასმელის ის ექვსი ბოთლი, რომელთა საცობებზე აღნიშნულია თითო ასო წარწერისა „ევრო 96“, დაჯილდოვდა ინგლისის საგზურით ევროპის ფეხბურთელთა პირველობაზე დასასწრებად, რომელიც ახლა ტარდება. იმთავითვე ცხადი იყო, ბედი გაუღიმებდა იმას, ვინც ბევრ „კოკა-კოლას“ იყიდდა. როგორც რეკლამა გვეუბნებოდა, მართლაც, იდილიური შემთხვევაა: იცხოვრე ფეხბურთით, სვი „კოკა-კოლა“ და მუქთად ისეირნე ინგლისში!

არანაკლებ მიმზიდველია „ბორჯომის“ მიერ გამოცხადებული კონკურსი — ლატარია. ყიდულობ ნამდვილ „ბორჯომს“, „პახმელიიდან“ უმტკივნეულოდ გამოჰყავან ამ უებარ საშუალებას,ააძრობ ან აახევ ეტიკეტს, სუფთა მხარეზე დააწერ შენს სახელს, გვარს და ბინის ტელეფონის ნომერს, გაგზავნი ტელევიზიაში და დაელოდები „ბარაბანის“ დატრიალებას. თუ ბედი წალმა დაგიტრიალდა და შენი გაგზავნილი ეტიკეტი ამოიღეს, პრიზიორი ხდები, თუ არა და, რას ჰკარგავ? — „ბორჯომი“ ხომ შესმული და შერგებული გაქვს!

ამ ღონისძიებას დიდი სახალხო და ეროვნული მნიშვნელობა აქვს და, რა შედარებაა, ათასგზის უფრო კეთილშობილურია, ვიდრე 30-იან წლებში „შამპანურთან“ დაკავშირებით სტალინის განზრახვა იყო. როგორც მაშინდელი საბჭოთა კავშირის (ფუი ეშმაკს!) სოფლის მეურნეობის მინისტრი იგონებს, სტალინს მისთვის უთქვამს, იმდენად უნდა გავზარდოთ „შამპანურის“ წარმოება და შევამციროთ მისი თვითღირებულება, რომ იგი საყოველთაო-სახალხო სასმელად იქცესო. ამ გორელმა იმდენი ქნა, რომ ეს გაზიანი, პირში მაქრისრწყილებდამსევი ღვინო მართლაც საყოველთაო სასმელად გახადა და შემდეგ „პერესტროიკის“ ბელადებს ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საწლიანი მწყობრი ღონისძიება რომ არ გაეტარებინათ, ვინ იცის, ფართო მასებში სანამდე გასტანდა მისი ბათქა-ბუთქი!

თუმცა, უცხოური წარწერებით დამშვენებული „ბორჯომი“ ყოველ ნაბიჯზე — მაღაზიებში, ჯიხურებში, ტროტუარებზე, შუა ქუჩაში — ბლომად არის გამოდგმული და ჩამწკრივებული, მაგრამ, ყველა ხედავს და დასამალი რა არის, მისი შეძენის სურვილი საქართველოში, რატომღაც, ძლიერ კი არა, კატასტროფულად შემცირდა. ეჭვი არაა, „ბორჯომის“ ხსენებული კონკურს-ლატარია ამ ანტიალკოჰოლურ სასმელს ისევ აქცევს საყოველთაო მოხმარების საგნად.

აუ, ყველას ვინ მოთვლის, რამდენი სხვა ამგვარი კონკურს-ლატარიები ტარდება ტელევიზორში და კიდევ მეტი ცხოვრებაში! უკეთესი გამოგონება რა გინდა: ნაყინის გულში კაფსულით ერთლარიანი მოათავსო და შემდეგ ქუჩა-ქუჩა იყვირო — აბა, მომგებიანი „მაროჟნიაო“!

ახლა მკითხველს გვინდა მოვახსენოთ იმ კონკურს-ლატარიის თაობაზე, რომელიც ფარულად, მაგრამ ყოველდღიურად მიმდინარეობს, დაწყებული 1994 წლის ოქტომბრიდან, როცა პურის ფასებს სადავე გვარიანზე მეტად მოვუშვით. ერთხანს იგი თბილისის მასშტაბით ტარდებოდა, მერე მთელი საქართველო მოიცვა.

კონკურს-ლატარიის წესი აქაც მარტივი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომია: თვალისა და ხელის შევლებით უნდა გამოვიცნოთ, დახლზე დალაგებული თუ დაყრილი პურებიდან რომელია დადგენილ-დაწესებული წონის შემცველი. ვინც ამას შეძლებს, მას 600-გრამიანი პური „უტალონოდ“ და ნახევარფასად ეძლევა. ამავე დროს, ჯილდოვდება სიგელით „ოქროს თავთავი“, ხოლო მისი სურათი, ოქროს ვარაყში ჩასმული, და თვით გამოცნობილი პური გამოიფინება დიდუბეში, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ეზოში, საგანგებოდ დამზადებულ სტენდზე.

მკითხველისათვის, ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, რატომ ტარდება იგი ფარულად, უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში. დიახ, იმიტომ, რომ პურფუნთუშეულის მრეწველობის მუშაკებმა ამ კონკურსისათვის საგანგებოდ არ სცადონ პურის ზუსტი ზონის დაცვა და ყველასათვის ნათელი იყოს ჩვენს სახელმწიფოში არსებული რეალური ვითარება.

ამ წლინახევრის განმავლობაში კონკურსის შედეგები ასეთია: გამოვლინდა მხოლოდ ცხრა გამარჯვებული — ოთხი — 600-გრამიან პურში, ორი — 800-გრამიანში, ერთი — 900-გრამიანში და ერთი კიდევ — კილონახევრიან „ბუხანკაში“.

მკითხველს რომ გულზე არ შემოეყაროს, აქვე განვმარტავთ: ასეთი საოცრად დაბალი მაჩვენებელი სრულებითაც არ ნიშნავს ჩვენი ხალხის ნიჭისა და მიხვედრილობის დაბალ დონეს. არა, ნამდვილად არა! იგი გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ არც ერთი გამომცხვარი პური სტანდარტული არ არის. ზოგი მეტია 30 გრამით, ზოგიც 50, 70, 90, 100 და 150 გრამითაც (დიახ, მეტი! თქვენ, რა, „ნაკლები“ გნებავდათ, დამეწერა?).

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი საზოგადოებაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. მართალია, როცა არ ვაკლებთ და მეტს ვიძლევით, ცალკე პიროვნებისათვის კარგია, მაგრამ დღეს პირადული კეთილდღეობითა და კმაყოფილებით ვინ შემოიზღუდება? ხომ ფაქტია, რომ თუ ასე მეტ-მეტი პური გავეცით, ეს ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელს შეუშლის. დროა, ამაზე იფიქროს პურ—ფუნთუშეულის თავკაცმა სოზარ პურჭამაძემ!

გაირკვა, სანამ საბარათო სისტემა არსებობდა და პურის პრივატიზაცია მთლიანად არ დამთავრდა, ზედმეტწონიანი პურის გამოშვების ჩვეულებას არაფერი ეშველა. ვნახოთ, ახლა როგორ წარიმართება საქმე, როცა ეს პროცესები დასრულდა და პურის ფასებს ალვირი სულ წავხსენით. თუ „კოკა-კოლასა“ და „ბორჯომის“ მსგავსი კონკურს-ლატარიების მოწყობა დაგვჭირდა, ავშენდით და ეს არის!

ბორის დარჩია

P.S. ისე საინტერესოა, ე, ჩვენი შეპირებული ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში ქე დაიწყო, მარა ე, სანატრელი „რ“ უკვე მოიპოვა ვინმემ თუ ევროპის ჩემპიონატის ჩემპიონის გარკვევის შემდეგ გაიხსნება საიდუმლო?

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა საორგანიზაციო კომიტეტის წერილი საქართველოს პარლამენტისადმი

მე-6 გვერდიდან

ლმოწერილი შეთანხმება რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების გადაცემის შესახებ წარმოადგენს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესთა პირდაპირ შელახვას რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ შემდგომ გარემოებათა გამო:

1. რუსეთის ფედერაციისათვის საქართველოში სამხედრო ბაზების დათმობა ნიშნავს საქართველოს ჩართვას რუსეთთან სამხედრო ბლოკში ანუ ისეთ სამხედრო ბლოკში,

— რომელსაც დღეს დაპირისპირება აქვს მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოსა და ბლოკთან და რომელიც დღეს სამხედრო მოქმედებას აწარმოებს როგორც თავის ქვეყანაში, ისე მის გარეთ.

— რომელსაც თავის დაპირისპირებაში სხვა ქვეყნებთან — მათს მთლიანობაში, თუკი ამ დაპირისპირებამ გლობალური ხასიათი მიიღო, გამარჯვების არავითარი ალბათობა არა აქვს,

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს საქართველოს ჩაბმას გლობალურ სამხედრო დაპირისპირებაში გარანტირებულად წაგებულის მხარეზე, აქედან გამომდინარე ყველა კატასტროფული შედეგებით ჩვენი ქვეყნისათვის.

2. რუსეთისათვის საქართველოში სამხედრო ბაზების გადაცემა ნიშნავს საქართველოში დგომის დაკანონებას უცხო შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც დღეს აქ ყოველგვარი იურიდიული სტატუსის გარეშე იმყოფებიან, და, მაშასადამე, გარკვეულ პირობებში, მათთვის უფლების მიცემას ცეცხლი გაუხსნან საქართველოს მოქალაქეებს.

3. სამხედრო ბაზების მიცემა რუსეთისათვის, რომლის იმპერიული წარსული დღეს აწმყო ხიფათს უქმნის მსოფლიოს და განსაკუთრებით, სსრკ ყოფილ რესპუბლიკებს, ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მეზობელი ქვეყნების ჩათვლით ნიშნავს ხიფათის შექმნას ჩვენი მეზობლებისათვის ჩვენი მოქმედების შედეგად, რის გამოც საქართველოს უმძიმესი პასუხისმგებლობა ეკისრება მათ წინაშე.

4. ამ ქვეყანათა საზარალოდ ერთ-ერთი ზესახელმწიფოს (რუსეთის) გაძლიერების პოლიტიკა საქართველოს აქცევს საერთაშორისო იზოლაციაში, რის გამოც საქართველოს უწყდება — და ახლო მომავალში სულ შეუწყდება — დახმარება დასავლეთიდან და მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნებიდან. სახსრებისა და პროდუქტების შემოსვლა აღარ მოხდება სხვაგვარად თუ არ უმძიმესპროცენტიანი სესხების სახით.

შეგახსენებთ ამასთანავე, რომ ილუზიის სიმულირება, თითქოს რუსეთისათვის საქართველოში სამხედრო ბაზების გადაცემა შეცვლის რუსეთის ანტიქართულ პოზიციას აფხაზეთში, არსებულ გამოცდილების საფუძველზე უკვე შეუძლებელია როგორც ინდივიდისთვის, საქართველოს პრეზიდენტის ჩათვლით, ისე პარლამენტისთვის.

თემურ ჭორჭოლიანი:

ზვიადისტები მტრის ხატად უკვე გაიცვითნენ და ახლა ახალი ნაკადი დასჭირდათ...

— ბატონო თემურ, რას იტყოდით თქვენი სასამართლო პროცესის შესახებ?

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით საქმე, როგორც საგამოძიებო პროცესის ნიმუში, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ წლებძს განმავლობაში მე მეტნაკლებად მომიწია იურისპრუდენციასთან ურთიერთობა, განსაკუთრებით ჩემი საპარლამენტო მოღვაწეობის პერიოდში. ახალგაზრდობაში კი კარგად და ღრმად გავეცანი საბჭოთა დისიდენტების წინააღმდეგ შეთითხნილ საქმეებს. თავისთავად, დაწვრილებით ვიცნობ თამარ ჩხეიძის, ლუიზა შაკაიშვილის, გია ჭანტურიას ცხოვრების ფაქტებს. დამერწმუნეთ, ასეთი ჰარიჰარად შექმნილი, თეთრი ძაფით ნაკერი საქმის პრეცედენტი არ არსებობს. ადრე უფრო ფრთხილობდნენ და გულდასმით, პროფესიულ დონეზე თითხნიდნენ ასეთ საქმეებს, რათა პოლიტიკური ოპონენტები მოეცილებინათ.

— რატომ, უნიჭოობა მოეძალათ?

— არც ეგაა გამორიცხული, მაგრამ მთავარია, რომ მათ თავს ყველაფრის ნება მისცეს; დაუსჯელობის, კანონის მიმართ უპასუხისმგებლობის ფაქტორი მუშაობს.

— თქვენ თვლით, რომ ეს პოლიტიკური ანგარიშსწორებაა?

— რა თქმა უნდა. თუ გავიხსენებთ იმ პერიოდს, როდესაც პარლამენტში ვიყავი; ასევე იმ დაპირისპირებას, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჰქონდა ჩვენს პარტიას; შემდეგ კი გაწბილებულ გენერალურ პროკურორს, რომელსაც პარლამენტმა არ მისცა ჩემი დაჭერის უფლება, გასაგები ხდება, რაც დამატეხეს თავზე.

— ადვოკატმა ეს საქმე შეაფასა, როგორც იურიდიული ძალადობა, პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით. თქვენ ეთანხმებით?

— სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლებაში მოკალათებულ ხალხს მიაჩნია, რომ ეს ქვეყანა მათია. ეს ისევ ტოტალიტარული რეჟიმიდან გადმოსული მენტალიტეტია. ისინი ვერ იტანენ კრიტიკას. ვერ იტანენ, თუ შენი შეხედულება არ ემთხვევა მათსას. ისინი სრულ მორალურ უფლებას აძლევენ თავს საწინააღმდეგო აზრის მქონე ადამიანი დაიჭირონ და დასჯონ. ხომ ძალიან მძიმე დანაშაული და ბოროტებაა ადამიანის მოტაცება, მაგრამ იგივე არაა, უდანაშაულო კაცს რომ ციხეში სვამ?

პირდაპირ გაოცებული ვარ პროკურორ მამამთავრიშვილის გამო. შეიძლება ამ დონემდე მიხვიდე? რას პირდებიან ასეთს? ქონების კონფისკაციაო, რა, საწოლი, სათამაშოები და წიგნები უნდა წაართვან ჩემს ბავშვებს? განა თვითონ არ იციან, რა საზიზღრობას სჩადიან? იციან, მაგრამ მაინც აკეთებენ. ვინმე სიგუას ფაქტი გავიხსენოთ: მილიციის უფროსი ავალებს მილიციელს, წადი მოკალი კაციო. ისიც მიდის და კლავს. ეს ხომ დღევანდელობის დამახასიათებელია, ადამიანს კლავენ იმიტომ, რომ დავალება მიიღეს. ჩემს საქმეში 18 პოლიციელია ბრალდების მხრიდან. 15 კაცი თავის ჩვენებაში შეუსაბამობაში მოდის ერთმანეთთან და სხვადასხვა ჩვენებებს აძლევს. ესეც კი ვერ მოახერხეს, ერთად დამჯდარიყვნენ და დეტალები შეეთანხმებინათ.

— დამოუკიდებლობის შემდგომ არჩეული უზენაესი საბჭოს წევრები დღეს ზოგი გაქცეულია, ზოგი დაჭერილი. პარლამენტის რამდენიმე წევრიც უკვე ზის. მომავალში რას უნდა ველოდოთ?

— ასეთი სისტემების დამახასიათებელი თვისებებია კამპანიურობა, მტრის ხატის მოძებნა. ზვიადისტები მტრის ხატად უკვე გაიცვითნენ და ახლა ახალი ნაკადი დასჭირდათ. მე კარგად მახსოვს ის პერიოდი, „მხედრიონი“ რომ ებრძოდა „ზვიადისტებს“. ჩვენ მაშინაც და ახლაც ამ პროცესებს წინააღმდეგობას ვუწევთ. ახლა „მხედრიონს“ ნაკადი ჩათავდა, წავიდნენ არენიდან, ახლა პოლიცია ბოგინობს. ხვალ, სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით, აღმოჩნდება, რომ დღევანდელი სამართალდამცავი ორგანოები ძალიან ბევრს აშავებდნენ, ბოროტმოქმედები არიან და ამათი დაჭერის კამპანია დხიწყება.

— გამოდის, რომ სამართლებრივ სახელმწიფოს არ ვაშენებთ?

— უბედურება ის არის, რომ ძველი, საბჭოთა მენტალიტეტის გამომძიებლები, პროკურორები, მილიციელები დღეს ძველივე სტილით აგრძელებენ მუშაობას. ახალგაზრდები, რომლებიც მოვიდნენ ან მოვლენ, ამ უკუღმართი სისტემის გავლენის ქვეშ ექცევიან. ფაქტია, რომ ჩვენ ვღებულობთ იმ სისტემის სიცოცხლის გახანგრძლივებას, რაც 70 წელი გვქონდა. იმედი მაქვს, ამგვარად დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს; მაგრამ ვშიშობ, რომ ხვალისათვის ეს ხალხი საქმეში გამოგვადგეს.

— გარკვეულ წრეებში ამბობენ, რომ ჭორჭოლიანი იმიტომ დაიჭირეს, იგორ გიორგაძის ფრთას ეკუთვნოდაო.

— აბსურდია. პოლიტიკაში ხშირად ხდება, რომ კაცს რაც უფრო დიდ ტყუილს დააბრალებენ, მით უფრო ადვილად ჩასაქოლი ხდება. იტყვიან, შენ კომუნისტების აგენტი ხარ და მორჩა. ჯერ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ვებრძოდით ამის გამო. შემდეგ პარლამენტშიც მკაცრად დავაყენეთ საკითხი ამოეწიათ, ბოლოს და ბოლოს, ეს არქივები. აღმოჩნდა, რომ იქ ისეთი ხალხია, არაა ეს მათთვის მომგებიანი. დღევანდელი პარლამენტის წევრებს, მითუმეტეს, არ აწყობთ ამ არქივების გახსნა. გიორგაძესთან 3-4-ჯერ შევხვდი პარლამენტში. არა თუ ახლო, შორი ურთიერთობაც არ მქონია.

— თემურ ხაჩიშვილი?

— ჩვენ ჯერ კიდევ ადრე, მხედრიონის შექმნის შემდეგ დავმეგობრდით. დიდი სიმპატიებით ვიყავი მის მიმართ გამსჭვალული. ძალიან ჭკუიან კაცად მიმაჩნია. დარწმუნებული ვარ, ეს სასამართლოზე გამოჩნდება, რომ იგი ამ სიბინძურეში არ ყოფილა, რასაც აბრალებენ.

ადრე ბევრ მხედრიონელთან ვმეგობრობდი. ჯაბა იოსელიანთანაც ხან კარგი ურთიერთობა მქონდა, ხან ცუდი. მტრებიც ვიყავით, როდესაც ოპოზიციაში მოვხვდით და ბატონი ჯაბა გვემუქრებოდა, დასაჭერები ხართო.

— შოთა კვირაია, როდესაც უშიშროების მინისტრად ამტკიცებდნენ, თითქმის პირდაპირ დაგასახელა: აი, ერთი აგენტი დავიჭირე და სხვებს მალე მოვუვლიო.

— ხომ ხედავთ, ასეთი უპასუხისმგებლობა შეიძლება? მე დისიდენტი არ ვყოფილვარ, ამათ საბჭოთა სტრუქტურებში არ მიმუშავია. არანაირი ურთიერთობა მათთან არ მქონია. რატომ უნდა ვყოფილიყავი აგენტი? თვითონ კი საბჭოთა გენერლები იყვნენ. თავიდან ფეხებამდე იმ საქმეში იყვნენ ჩაფლული და აქტიურადაც მონაწილეობდნენ. მეცინება ხანდახან, ბოლოს და ბოლოს იმაზე მეტი შეურაცხყოფა რა შეიძლება იყოს, 46 წლის კაცს, 7 შვილის მამას ნარკოტიკს მიდებენ ჯიბეში. დამერწმუნე და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ნარკომანია მე არასრულფასოვნებად მიმაჩნია. რასაც მიკეთებენ, ეს მათი უსუსურობაა. ხომ აშკარაა, რომ ჩვენს სახელმწიფოში რაღაც წესრიგში არაა.

— თქვენი მეუღლე ლია დავალიშვილი. იმ დავალიშვილის ნათესავი ხომ არაა?

— იგი ჩემი მეუღლის ბიძა იყო და ნათესაური ურთიერთობები მქონდა მასთან.

— რას იტყვით მისი ოჯახის შესახებ?

— ალბათ ბევრია ამაზე, ეს მოგეცალეს თუ თავი მოიკლა. ერთი რამ ვიცი, ზეწოლა იყო დავალიშვილზე იმ მხრივაც კი, რომ ჭორჭოლიანზე გვითხარი რამეო. იყო ასეთი ამბავი. რაც შეეხება მაშინდელ ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, სესხებს და ემისიას, უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ ასეთი დიდი ემისია ინფლაციას გამოიწვევდა. ამავე დროს არა მგონია დავალიშვილი იმხელა ფიგურა ყოფილიყო, თვითონ გადაეწყვიტა ეს საკითხები. ფაქტიურად გაეუფასურა კუპონი, ეკონომიურად დაშალა და დააქცია ამან ქვეყანა.

— სესხი არ აგილია?

— რაში მჭირდებოდა? დეპუტატი ვიყავი, დაკავებული ვიყავი პოლიტიკით. ხანდახან ვფიქრობ, იქნებ სჯობდა პოლიტიკას შევშვებოდი დამოუკიდებლობის შემდეგ და რაღაც კომერციისთვის მომეკიდა ხელი. მაგრამ ახლა რასაც ციხეში ვხედავ, ეს კიდევ უფრო საშინელებაა. ქარხნის დირექტორს იჭერენ იმიტომ, რომ ვიღაცას ქარხანა ჭირდება. პრივატიზაცია არასწორად მიმდინარეობდა, ისევ დირექტორზე ტყდება. კომერციაში ხარ და ყველა გყვლეფს, თუ ფული არ მიეცი, გიჭერენ.

— ციხეში რა მდგომარეობაა?

— კიდევ უარესი, ვიდრე გარეთ. საქართველოში სერიოზულად დგას ადამიანის უფლებების საკითხი. სამართალდამცავი ორგანოების ჯირითია. გასაგებია, იარაღიანი ხალხი დათარეშობდა და სტაბილიზაცია იყო საჭირო, მაგრამ ეს ფაქტი ფონად გამოიყენო და განუკითხავად დაიჭირო ვინც არ მოგწონს, სად გაგონილა? ციხე საავსეა. ნებისმიერ კაცს შეუძლიათ დაუდონ იარაღი, ავტომატი, ნარკოტიკი. ასე სამართლებრივი სახელმწიფო არ აშენდება.

— საქართველოში უამრავი სახელისუფლებო თუ არასამთავრობო სტრუქტურაა, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს. ისინი რა, არაფერს არ აკეთებენ?

— ჩემთვის და სხვა პოლიტიკოსებისთვის ადვილია, ჩვენ ვლაპარაკობთ დარღვევებზე. მაგრამ უბრალო ხალხს ეშინია, მნახველი წავა და შეიძლება უარეს დღეში ჩააგდონ. შიგნით უნდა იჯდე, ადამიანებს რა ხდება. აგერ ორსული ქალი ჰყავდათ 8 თვე გაჩერებული, გულთამზე პატარაია. დაიბადა ბავშვი, რომელსაც დეფექტი აქვს, რადგან დედამისს სცემდნენ და აშიმშილებდნენ. სასაცილოა, რისთვის ჰყავთ დაჭერილი, 205 მუხლით, მეუღლის ქურდობა დაფარა. მე ვიცი შემთხვევა, როდესაც ქალი ჰყავდათ 10 დღე დაკავებული მცირეწლოვან ბავშვთან ერთად. ასეთ ამბებს რომ მოიცმენ, რის სამართლებრივ სახელმწიფოზე შეიძლება ლაპარაკი?

— როგორ ფიქრობ, რამდენს მოგისჯიან?

— ვერ ვიტყვი. არ შეიძლება თქვა, რომ სასამართლო კოლეგია ტენდენციური იყო პროცესის დროს. ისე განაჩენი იტყვის ყველაფერს.

სხვათაშორის, ნებისმიერმა იურისტმა ამ საქმეში რომ ჩაიხედოს, იგი ნებისმიერ დროს გამოდგება ამ სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ საბრალდებლო დასკვნის შესაქმნელად.

ესაუბრა

ლალი აბაშიძე

ზვიადის პარტიის დროებითი თავმჯდომარე ამუნათებს ედუარდ შევარდნაძეს

ქალბატონმა ლეილა ცომაიამ პროტესტი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, რომელშიც ნათქვამია:

ვაცხადებ პროტესტს თქვენი სულთამხუთავი პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის განსაკუთრებულ სიმწვავეს განვიცდი უკანასკნელი წლების განმავლობაში, რასაც თქვენ ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თან ერთვის მუქარა, რომ თუ არ შეეწყვეტ ჩემს „ოპოზიციურ გამოხდომებს“, აღარ მაკმარებენ 4-ჯერ სხვადასხვა ვადით დაპატიმრებას, არამედ — საზოგადოებისაგან იზოლირებას გამიკეთებენ ძალზე ხანგრძლივი დროით.

თქვენი მიზანია, გამუდმებული დევნა-შევიწროვებით დამორგუნოთ, გამტეხოთ და საბოლოოდ მაიძულოთ მრავალთა მსგავსად დავტოვო ჩემი სამშობლო საქართველო, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ამაო ცდაა, ჩემს შემთხვევაში ამგვარ მიზანს ვერ მიაღწევთ. უმჯობესია იფიქროთ თქვენს ნებაყოფლობით გადადგომაზე საქართველოსა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უფრო გავაქტიურებთ მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლას თქვენი კაპიტულანტურ-იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ თქვენს საბოლოო გადაყენებამდე.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს თემურ ვაშაყმაძეს მამის გარდაცვალების გამო

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41